№ 226
ოთხშაბათი, 26 ოქტომბერი 1894

1877—1894

№ 226
ოთხშაბათი, 26 ოქტომბერი 1894

# ივერია

გაზეთი ღ. ხ:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად:
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერია“
გამოდის 1894 წელს
იმავე პროგრამით, როგორც წინად.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტფილისი,
„ივერიის“ რედაქციას
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
საფოსტო ადრესი:
ТИФЛИСЪ. Редакція „ИВЕРІА“.

30 ოქტომბერს, დილის ათს საათზედ უნდა მოხდეს ტფილისის გუბერნიის თავად აზნაურთა განსაკუთრებული კრება ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის სადგომში.

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი აუწყებს რა ამას თავად-აზნაურთ, სთხოვს მობრძანდნენ ხემოხსენებულს კრებაზედ.

(3—უ.—2)

## დეპეშა

24 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** დღეს სატახტო ქალაქის გაზეთების რედაქტორთა და გამომცემელთა კრებაზედ გარდაწყვეტილ იქმნა ძვირფასი გვირგვინი დაადგან განსვენებულ ხელმწიფე იმპერატორის კუბოს. ამ გარდაწყვეტილების ასასრულებლად ოთხი კაცია ამორჩეული: ნოტოვიჩი, სუვოროვი, კომაროვი და მეზელიუსი.

## ახალი ამბავი

*** ამას წინად მეურნეობის მინისტრს კიდეც დაუმტკიცებია სამეურნეო საზოგადოებათა წესდებანი, რომელიც რუსეთის სხვა-და-სხვა ქალაქში არსდება. ამ დღეებში კიდევ დაამტკიცებს თურმე რამდენსამე. ყველა ამ საზოგადოებას საგნად ისა აქვთ, რომ ერთის მხრივ სოფლის მეურნემ თავისის ნაწარმოების გასასყიდად და მეურნეობისთვის საჭირო ნივთების შესაძენად შუამავლებსა და ჩარჩებს აღარ მიმართონ და, მეორეს მხრივ, სემეურნეო ცოდნა-განათლება გავრცელდეს გლეხთა შორის.

*** ს. საბუნჩა. 24 ოქტომბერს, ნაშუადღევია 2 საათზედ, სახალხო მატარებელმა გასრისა ვიღაც უცნობი კაცი, რომელიც გარეგანობით მაჰმადიანსა ჰგავს.

*** გომი: 24 ოქტომბერს გომსა, და ხაშურის შუა ვაგონი გასტეხეს და რამდენიმე ყუთი შაქარი მოიპარეს. შაქარი იქვე ახლო ტყეში იპოვნეს და დამნაშავეც შეიპყრეს. დამნაშავედ აღმოჩნდა რკინის გზაზედ კონდუქტორად ნამსახური.

*** ჩოხატაური: ჩოხატაურის გარშემო სოფლების სხელმძღვანელოებსა და რვეულებს ჰყიდულობდნენ ჩოხატაურში უბრალო ვაჭრებთან. წიგნის მაღაზია ძალიან საჭირო იყო, რადგან მედუქნეები ხშირად ძვირად გვაძლევდნენ. ერთმა ყმაწვილმა კაცმა დააარსა წიგნის მაღაზია. ყველას გვიხაროდა, იაფად და მუდმისად ვიშოვით წიგნებსა და რვეულებსა, მაგრამ თუ ვაჭრობისაგან ძვირად ვყიდულობდით, წიგნის მაღაზიაში შაურს და ორს შაურს მეტს გვახდევინებენ თითო წიგნში, რაც სოფლელთათვის თვალსაჩინო ფულია. სხვაგანაც ვეღარ ვშოულობთ, რადგან წიგნის მაღაზიის დამაარსებელმა აღუკრძალა ყველა მოვაჭრეებს წიგნების ყიდვა. დიდს სასარგებლო საქმეს იქმს დამაარსებელი, რომ ფ სებს დაუწიოს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მან გახსნა მაღაზია არა თვისდა გასამდიდრებლად, არამედ მისთვის, რომ მყიდველთათვის საშუალება მიეცა წიგნების იაფად შეძენისა. სასურველია სახელმძღვანელონი მუდამ იქონიოს, თორემ ხშირად უწიგნოდ რჩებიან მოსწავლენი და რა ჰქნას მასწავლებელმა, თუ-კი მისგან ნასწავლს სახლში ვეღარ განიმეორებს ბავშვი?!

*** დ. ხიდისთავი (გურია), წლევანდელი წელიწადი ჩვენთვის ვერაფერი წელიწადია. ისე გავიდა მთელი ზაფხული და აგერ შემოდგომაც მიდის, რომ ერთი რიგიანი დარი არა გვღირსებია, რის გამოც ჭირნახული არ დამწიფდა და დამწიფებულის შენახვაც ვეღარ მოუხერხებიათ ავდრიანობის გამო. ყურძენიც მეტის-მეტად ნაკლებია, ოდესას ვიწუნებდით და ეხლა აღარც ის არის.

*** „Новости-ს“ კორესპონდენტი ოსმალეთში გადასახლებულ კავკასიელთა ცხოვრების შესახებ ამბობს, რომ ოსმალეთის მთავრობა კავკასიდგან გადმოსახლებულებს ისევ მცირე აზიაში ასახლებს. სულთანი, როგორც მაჰმადიანთა მპყრობელი, უარს ვერ ეტყვის გადმოსახლებულს, მხოლოდ რუსეთი კი ძალიან მადლობელია იმის-გამო, რომ ჩეჩნებს თავიდგან იშორებს.

ოსმალეთისთვის ამ ახალ გადმოსულებს ჯერ არავითარი სარგებლობა არ მოუტანიათ, მცირე აზიაში ავაზაკობაც-კი გახშირდა. ძალიან მცირენი არიან ისეთნი ამ გადმოსახლებულთა შორის, რომ მთავრობის პატივისცემა ჰქონდეთ დამსახურებულიო.

*** გაზ. „Новости“-ს კონსტანტინეპოლელი კორესპონდენტი იუწყება, რომ სულთანმა ხელი მოაწერა კიდეც იმ ირადეს, რომელიც ნებას აძლევს სომეხთა საზოგადო კრებას აირჩიოს სტამბოლის სომეხთა პატრიარხი. ამის გამო სტამბოლის სომხები ძალიან ნასიამოვნებნი არიანო.

### ქალაქის საბჭო

24 ოქტომბერი

გუშინ ტფილისის საბჭოს სხდომაზედ ქალაქის მოურავმა პ. ა. იზმაილოვმა წაუკითხა ხმოსნებს მთავარმართებლისაგან მიღებული დეპეშა იმპერატორის ალექსანდრე III გარდაცვალების შესახებ. შემდეგ ქაშვეთის ეკლესიის დეკანოზმა მ. ჭრე-

## ფელეტონი

### პასუხი „კვალის“ რაზმსა

(დასასრული მესამე წერილისა)

საზოგადოდ, უნდა შევნიშნოთ, რომ ბ-ნი დოდაშვილი და მე სრულიად სხვა-და-სხვა ენაზედ ვლაპარაკობთ. იგი საგაზეთო სტატიებში კოხტაობს გაუგებარი ტერმინებით, რათა მკითხველი გააოცოს და აფიქრებინოს: „უჰ, ეს რა უშველებელი გრამატიკოსი გაგვჩენიაო. ამის გამო არამც თუ უბრალო მკითხველი თვალს არიდებს მის კვლევას, არამედ გრამატიკოსებიც-კი ამბობენ: „ვიკითხეთ, ვერაფერი გავიგეთ და კითხვაზედ სრულიად ხელი ავიღეთ; გვგონია თვითონ ავტორსაც მაგდენი არაფერი გაეგებაო“. ხოლო ჩვენ სულ იმასა ვცდილობთ, რომ უკანასკნელს გოგიტელასაც-კი გავაგებინოთ ჩვენი აზრი და ამის გამო ვერიდებით არამც თუ ფილოლოგიურს ტერმინოლოგიას, არამედ საგრამატიკო ტერმინებსაც-კი, რომელნიც ჩვენს საზოგადოებაში ძლიერ ნაკლებად არიან ცნობილნი, და ვხმარობთ ჩვეულებრივს, მდაბიო სიტყვებსა. ამითი სარგებლობს ჩვენი ფილოლოგი და წამდაუწუმ ისვრის „უვიცობასა“. ერთს ალაგას იქამდის კაკადნიერდა, რომ ჩვენი გამოთქმა „კეთილხმოვანი ასო“ დასახა „ბოდვად სიცხე-მიცემულისა“. რასაკვირველია, ეს ჩაიდინა მეტი-მეტის ერთგულობის გამო, რათა ღირსეულის წყვლისათვის უტკბილესი სიამოვნება გამოეცდევინებინა: მაგრამ უნდა იცოდეს, რომ ამისთანა მხურვალე ერთგულება ბატონ-ყმობის მოსპობის შემდეგ რიგიან მოსამსახურეთა შორისაც-კი სათაკილოდ და სამარცხვინოდ ითვლება.

ჩემი აზრი შესახებ შინაარსიანი წერილების სიმცირისა ქართულს ლიტერატურაში არ მოსწონებია ბ-ნს დოდაშვილსა და ამ სახით მიკიჟინებს: თუ კალმის ასს ნაწარმოებში მხოლოდ ერთია მდიდარი აზრებითა, მაშ ქართული ლიტერატურა თქვენა ყოფილხართ, რადგანაც მიუცილებლად თქვენს საკუთარს წერილებს თხელ შექამანდად არ ჩასთვლითო. ჩლუნგი ოხუჯობა მოსდის... ჩემი ანგარიშით, ქართულს ენაზედ ყოველ წლივ იბეჭდება პერიოდულ გამოცემებში და ცალკე ათი ათასი წერილი. მაშასადამე, თუ ჩემს პროპორციას მივიღებთ, გამოვა, რომ ქართულს ენას ათობითა ჰყავს ჩინებულნი მწერალნი და ისინი ასი საუცხოვო ნაწარმოებით ამდიდრებენ სამშობლო ლიტერატურის სალაროსა. მე ვგონებ, ეს რიცხვი უფრო ოპტიმისტურია, ვიდრე პესიმისტური, რიცხვი ჩინებული წერილებისა უფრო გაზვიადებულია, ვიდრე შემცირებული. მართალია, ეს რიცხვი რომ ასამდე აგვეყვანა და საუკეთესო ნაწარმოების რაოდენობა ათასამდე, მაშინ ბ-ნი დოდაშვილიც უეჭველად ეღირსებოდა ლიტერატორთა რიცხვში მოქცევასა; მაგრამ რავქნა, რომ ეს ასე არ არის და მე ხომ ვერ შევქმნი.

უფრო კიდევ მომეტებულად ისახელა თავი ბ-ნმა დოდაშვილმა მეორე თავისი აზრით. ჩვენ რომ ინგლისში უარტროპებს ორი ქართული მოთხრობა გავუგზავნოთ კილოს უტყუარ დასაფასებლადო, ევროპა რას იტყვისო? ხომ მასხარად გაგვაკეთესო. ჯერ ერთი ესა, რა არის აქ სასაცილო? პირიქით, ყოველი ჭკვიანი ევროპიელი გონივრულ საქციელად ჩასთვლის, ქართველებმა რომ თავისი ორი კილოს ღირსების შესატყობლად მიმართეს უცხოელებს, რომელთაც, ქართული ენის გარდა, ბევრი სხვა ენებიც კარგად იციან, შედარებითი მეთოდით აღჭურვილნი არიან, სრული შეძლება აქვთ სამართლიანად ასწონ-დასწონონ ერთი კილოს თვისებაც და მეორისაც და თავისს მსჯავრს დაადგენენ პირუთვნელად, მიუდგომელად, რადგანაც ყოველ გვარს პირადობას მოშორებულნი არიან. მეორედ, საიდგან გაიგებს ამას ევროპა? თვით „კვალის“ მკითხველებშიაც ასში ერთი თუ ჩაათვალიერებს ჩვენი ახალი გრამატიკოსის კვლევასა, და ნუ თუ მას ჰგონია, რომ ევროპაში მას ვინმე კითხულობს? აი ყოვლად სასაცილო ოცნება ეს გახლავთ. ან იქნება ჰგონია, რომ უარტროპებმა თვითონ შეატყობინონ ევროპას ეს ამბავი თავის მოსაწონებლად? მაშინ ხომ ისინი ბავშური თავმოყვარეობით და ყოყოჩინობით დაემზგავსებიან „კვალის“ რედაქციის ზოგიერთა წევრებსა. არა ბატონო, ეს საუკეთესო გზა საკამათო საქმის გადასაჭრელად თქვენ არ გეპიტნავათ იმიტომ, რომ დარწმუნებული ხართ, იგი თქვენ გაგაცრუებდათ, გაგაშავებდათ. ეს თქვენც-კი წამოგცდათ. ჯერ მხოლოდ პროგრამა შევიმუშავეთ ჩვენის ენის გაუმჯობესობისათვის, რეფორმისათვის და მხოლოდ შემდეგში მოვახდენთ ამ რეფორმასა, გავაუკეთესოებთ ჩვენს დედაენასაო. ეგრე გეთქვათ პირდაპირ, რაღა ლობე-ყორეს ედებოდით. მხოლოდ უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენი პროგრამის მუხლები ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან და მისი შესრულება-კი არ გააუმჯობესებს ქართულს ენასა, არევ-დარევს და უკან დასწევს.

მკითხველი ხედავს, რომ კვლევა და კრიტიკა ბ ნი დოდაშვილისა ბზის გროვაც აღარ გამოდგა. იგი აღმოჩნდა ბუჩოდ, რომელშიაც მხოლოდ ერთი სრული მარცვალი ვიპოვნეთ და ორიოდე ფშუტა. ეს ავლა-დიდება კურდღელს-კი არა, რწყილსაც ადვილად აეკიდება. და აი ამისთანა ბუჩოს დაგროვებასა და გამონიავებაში უნდა ვკარგოთ დრო, როდესაც ერის სიკეთე ითხოვს დაცვას შეერთებული ძალით უსაჭიროესის პოზიციებისასა. და კიდევ ამისთანა ავლა-დიდების პატრონი ისეთი ამაყური, და გაკადნიერებული, ავტორიტეტული კილოთი გაიძახის, თითქო მას წინ მიუძღოდეს ოცის წლის უნაყოფიერესი ღვაწლი ქართულის მეტყველების წინაშე.

ნამდვილად-კი, ქართულს მეტყველებას რომ საჩივრის შეტანა შეეძლოს, პირველად სამართალში ბ-ნს დოდაშვილს წააწიალებდა. მკითხველი შენიშნავდა, რომ თითქმის არც ერთი ციტატა, მოყვანილი ჩვენს წერილებში ჩვენის მოკამათის კვლევიდგანა, კანონიერ, რიგიან ქართულად არ ჩაითვლება. ამასთან ისიც უნდა იცოდეთ, რომ ჩვენი გრამატიკოსის კალმის ყველა ნაწარმოები რედაქციაში სწორდება, რადგანაც ეს სწორება კანონად აქვთ დადგენილი „კვალისტანში“, როგორც ეს გამოამჟღავნა, სხვათა შორის, ბ-ნმა სილოვანმა. ამის გამო ყოველი შეცდომა ჩვენის ახალის ფილოლოგ-გრამატიკოსისა უნდა შეირიცხოს შეცდომად თვით რედაქციისა. გავიცნათ ზოგიერთა ნიმუშები მისის ქართული მეტყველებისა.

ჩვენ არ გამოვეკიდებით არც ლექსიკონის ნაკლულევანებას, არც სინტაქსის უქართულობას და უწესობას, ჩვენ ხათრს გავუწევთ ბ-ნს დოდაშვილსა და მის ენას კბილს გავუშინჯავთ ეტიმოლოგიის მხრივ, რაშიაც იგი თავისს თავს რაცხს შეუდარებელ, უბრო მოსპეციალედ და რომელსაც შეეხება ყოველი მისი საგრამატიკო კვლევა.

ნიმუში პირველი: «ჩვენ შორსა ვართ

ლაშვილმა გადიხადა პანაშვიდი ღვთის ჰიერ განსვენებულის იმპერატორის ალექსანდრე III სულის მოსახსენებლად და მერე პარაკლისი მუხლმოდრეკით და მრავალჟამიერის გალობით ხელმწიფე იმპერატორის, მემკვიდრე ცესარევიჩისა და სრულიად სამეფოს სახლობის სადღეგრძელოდ. ამის შემდეგ ქალაქის ხმოსნებმა გამგეობაში მოსამსახურეთ ფიცი დასდეს ხელმწიფე იმპერატორის და მემკვიდრე ცესარევიჩის ერთგულებისა.

როდესაც სხდომა დაიწყო, ქალაქის მოურავმა ბ-ნმა იზმაილოვმა მიჰმართა კრებას და სთქვა, რომ ხელმწიფე იმპერატორსა და მემკვიდრე ცესარევიჩს განვუცხადოთ ტფილისის მცხოვრებლების მხრივ ერთგულ-ქვეშევრდომული გრძნობა და აგრეთვე ულრმესი მწუხარება იმ უბედურების გამო, რომელიც რუსეთს ეწიაო.

ეს წინადადება კრებამ ფეხზედ ადგომით მოისმინა და სრული თანხმობა განაცხადა. ამის შემდეგ კრება დაიშალა.

## კორესპონდენცია

**სოფ. დიცი** (ქართლი), ეს ერთი თვე მიდის თქვენი მტერი იყოს ისე შეწუხებული და გაჭირვებული როგორც ჩვენ ვართ, ამ სოფლის მცხოვრებლები: ცალკე შიმშილი გვაწუხებს და ცალკე წყლის წყურვილი. განა თუ საჭმელი გვაკლია, ან სასმელი, წყალი არა გვაქვს არც დასალევად და არც საჭმლისათვის სახარად. ჩვენის სოფლის წყალს უწოდებენ დიცურას, და შიგ შუა სოფელში მოდის. ამ წყლის მეტი სხვა არც დასალევი სადმე წყალი გვაქვს ძდინარე და არც წყარო არის ამ სოფელში. მხოლოდ ხუთ ვერსზედ თუ წავალთ, შეგვიძლიან პატარა ლიახვიდგან წყალი ამოვიტანოთ, მაგრამ დიდად ძნელია იმ სიშორიდგან წყალის ზიდვა. დიცურა-კი შიგ შუა სოფელში აბრუნებს ამავე სოფელში ოთხს წისქვილს, რომლითაც მთელი სოფელი სარგებლობს და საფქვავსა ჰფქვავს. წარმოიდგინეთ, ეს ერთი თვე სრულდება, რაც ამ წყალს გვიწყვეტენ სათავეშივე ხუთის ვერსის მანძილზედ, ქვაფთის ჭალასთან; რამდენჯერმე იყო შემთხვევა, როდესაც დასწყვეტდნენ წყალსა, ამ სოფლის გლეხნი წავიდოდნენ და ისევ გადმოუგდებდნენ ხოლმე, მაგრამ როდემდის უნდა იყოს ასე?!.

საჭიროა, რომ ჩვენმა მამასახლისმა ყურადღება მიაქციოს როგორმე ამ საქმეს და ხალხი დაიხსნას გაჭირვებიდგან.

ვ. მძინარაშვილი

**ს. სურები** ყოველი სოფელი სცდილობს სასწავლებელი აიშენოს და არავითარს ხარჯს არა ზოგავს, მხოლოდ სოფელს თავ-სურებს დღემდე ვერ შეუგნია სწავლის სარგებლობის აზრი ზოგიერთის გაიძვერა ვაჟ-ბატონე'ის მეოხებით. ერთმა ახალგაზდა კაცმა ითავა დაარსება სამრევლო სასწავლებლისა ს. თავ-სურებში, მთავრობისაგან ნება-რთვაც აიღო. შეჰყარა ხალხი და მშვენიერად განუმარტა სწავლის სარგებლობა და ურჩია სასწავლებელი დაეარსებინათ. სოფელი ჯერ უარზედ დადგა, ბოლოს, როგორც იყო, დასთანხმდა მომეტებული ნაწილი, მაგრამ, როგორც ბევრს კეთილს საქმეში სხვაგან, აქაც გამოჩდნენ უკეთურნი კაცნი (მათ რიცხვში მამასახლისიც — ეს საზოგადოების ჭკუის მასწავლებელი) და დაიწყეს ყვირილი: „არ გვინდა კლასი; თუ გვსურს, სხვაგანაც კარგად ვასწავლით ჩვენს შვილებს! „რეიზა“ დევიდოთ კისერს ხარჯიო?“ დღემდე ეს ფრიად სასარგებლო საქმე გაჩერებულია. ხალხი ისე არ არის გასამტყუნარი, როგორც მამასახლისი, რომელსაც უფრო მეტი მოეკითხება.

სამი თვეა, რაც თოთოეულს მოსახლეს მოუზომეს გზის ნაჭერი, რომელიც რაც შეიძლება საჩქაროდ უნდა გაეკეთებინათ. მაგრამ ახლაც ეს გზა თითქმის ხელუხლებელია. ზოგიერთმა ჩამოთხარა მიწა, გადაასილავა წყლის რუები და წყალს გზა არ მისცა. ამის მეოხებით წყალი გადავიდა გზაზედ და ისეთი ტალახი დააყენა, რომ ყველა ვერ გაჰბედავს სიარულს. ბოქაულს ბევრჯერ შესჩივლეს კერძო კაცებმა, მაგრამ ის მამასახლისს აბრალებს: „მე რა გიყოთ, მამასახლისი გყავთ გლახაო“. დარწმუნებული ვართ, ახლა მაინც ეშველება ჩვენს სოფელს გზის გაყვანა, თორემ ფეხი უხიფათოდ ვერ გაგვიდგამს, ხოლო ჩვენი სოფელი-კი აღებმიცემობას ძალიან მისდევს.

ა. სურებელი

**ზემო იმერეთი**. ამ ბოლოს დროს ზემო იმერეთშიაც აღმოჩნდა, ანუ, უკეთ ვსთქვათ, სჩნდება ორი დასი ნასწავლი ყმაწვილებისა: ერთს დასს განუზრახავს სახალხო წიგნთ-საცავის დაარსება ჭიათურაში, და, როგორც გავიგეთ, კიდეც შესდგომიან წიგნთ-საცავისთვის საჭირო მასალის შეძენას. მეორე დასს (რომელიც ჯერ-ჯერობით მხოლოდ ორიოდე ყმაწვილისაგან შესდგება) აზრადა აქვს აგრეთვე დააარსოს სახალხო წიგნთ-საცავი დ. ჩხარში. ამ მეორე დასს მისის აზრის ასასრულებლად ხელს უწყობენ შემდეგნი გარემოებანი: ა) ჩხარის სამრევლო სკოლასთან უკვე არსებულის პატარა წიგნთ-საცავის შემწეობით ადგილობრივს საზოგადოებაში, ცოტად თუ ბევრად, უკვე მომზადდა ნიადაგი სახალხო წიგნთ-საცავის დასაარსებლად. (სკოლის წიგნთ საცავი, რომლითაც ხალხიც სარგებლობდა, თავისის სიღატაკის გამო, ვეღარ აკმაყოფილებს ხალხის საკმაოდ გაზრდილს სურვილს წიგნების კითხვისას), ბ), ჩხარის ახლომახლო მრავლად არიან იმისთანანი, რომელთაც ცოტა შეგულიანება სჭირიათ, რომ მათ ჩხარში სახალხო წიგნთ საცავის დაარსებას ხელი შეუწყონ, ამ სამადლო საქმეს შესაფერი თანაგრძნობა აღმოუჩინონ და მომავალს ჩხარის წიგნთ საცავს წევრებად გაუხდნენ; გ.) წიგნთ-საცავის მოსათავსებლად ყმაწვილებს ჩხარელმა მეაფთიაქემ, ბ-ნმა მეთოდე ვასილის-ძემ ქათამაძემ, აღუთქვა დათმობა თავისის აფთიაქის შენობაში ერთის მოზრდილის სადუქნე ოთახისა, წიგნთ-საცავისათვის ძალიან შესაფერს და მოხდენილს ადგილზე მყოფისა, და დ.) აგრეთვე დაჰპირდა ყმაწვილებს ბ ნი ნიკო სიმონის-ძე ჩიკვაიძე (რომელმაც უკვე დახურა თავისი სკოლა ალისუბანში), ოღონდაც ჩხარში სახალხო წიგნთ-საცავი დააარსეთო და წიგნთ-საცავს, ჩემს სკოლასთან ერთად გაუქმებულს, თავისს შკაფიანად თქვენ გადმოგცემთო.

სევ. ჯულელი

## უცხოეთი

**ინგლისი**. ბრადფორდში მინისტრ-პრეზიდენტმა ლორდმა როზბერიმ სიტყვა წარმოსთქვა, საიდგანაცა სჩანს, რა პოლიტიკას ადგას ინგლისის მთავრობა ლორდთა პარლამენტის შესახებ. სთქვა, რომ თუმცა ზედა პარლამენტის არსებობის წინააღმდეგი არა მაქვს-რა, მაგრამ ამავე დროს ზედა პარლამენტი ერისათვის საშიშიაო, რადგანაც იგი ტორიებისაგან შესდგება და შეიძლება რევოლიუციაც-კი გამოიწვიოსო. ამიტომ მთავრობა შემდეგს სესიაზედ წინადადებას მისცემს ქვედა პარლამენტს, დაიცვას თავისი უპირატესობანი, ზედა პარლამენტის მიმართ და განაჩენთა შემწეობით. ეს განაჩენი მთავრობისა და ქვედა პარლამენტისა საზოგადო მოთხოვნილებაა კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ. თუ ვინიცობაა ზედა პარლამენტმა ყურადღება არ ათხოვა ამ ნაბიჯს, მაშინ მთავრობა ერს მიჰმართავს, როგორც სხვა ქვეყნებში იქცევიან ხოლმეო.

14 ოქტომბერს მინისტრ-პრეზიდენტმა როზბერიმ შიფფილდში სიტყვა წარმოსთქვა ხელმწიფე იმპერატორის ავადმყოფობის შესახებ და სხვათა შორის, განაცხადა: „რუსეთის ხელმწიფის ავადმყოფობა ჩრდილია, რომელიც ამ ჟამად უცხოეთის პოლიტიკას მიადგა. ამ ჟამად ევროპაში ერთი წინდახედული და გონიერი კაცი არ იქნება, რომლის გონება ლივადიისაკენ არა ჰქროდეს ავადმყოფის სარეცელთან. მართალია, წინად რუსეთსა და ინგლისს შორის ისეთი დამოკიდებულება ჰსუფევდა, რომელიც უთანხმოებასა ჰბადებდა ამ ორ სახელმწიფოს შორის, მაგრამ ახლა-კი ყველამ, ვინც-კი იცის რაც მოხდა ამ უკანასკნელს თორმეტის წლის განმავლობაში, ყველა უთუოდ დიდი მადლობელი უნდა იყოს რუსეთის იმპერატორისა. ჩემი საქმე არ არის შევეხო იმ საგანს, თუ რა დამოკიდებულება ჰქონდა იმპერატორს თავისს სამეფოსთან, თუმცა-კი ამბავი მოდის,

---

დავწამოთ ბ-ნს ხახანაშვილს უცოდინარობა: დარწმუნებული ვართ, არც ერთს რუსის მასწავლებელს ფიქრადაც არ მოუვა სიტყვები: нашъ, вашъ (ჩვენი, თქვენი) ჩათვალოს მრავლობითი რიცხვში აღნიშნულად. დიაღ, სიტყვები: ჩვენ, თქვენ აღნიშნავენ მრავლობითი რიცხვსა, ხოლო ჩვენი, თქვენი მრავლობითში იქმნებიან აღნიშნულნი, როგორც სიტყვები: ჩემი. შენი“. — ამ მსჯელობაში ვერ მოიძებნება არც ერთი წინადადება, რომელშიაც რავდენიმე შეცდომა არ მოიპოვებოდეს. „ჩვენ შორსა ვართ დავწამოთ“ ხეპრული რუსიციზმია (Мы далеки обвинять) და მას არ იხმარებს არც ერთი მცოდნე ქართულის ენისა. „არც ერთს რუსის მასწავლებელს“ ადაურია? განა ითქმის: ქართველის მასწავლებელს? არა, ყველანი ვამბობთ: ქართველს მასწავლებელსა. ამიტომ ბ-ნს დოდაშვილსაც უნდა ეთქვა: რუსს მასწავლებელსა. „მრავლობითი რიცხვში აღნიშნულად.“ აქ მეცნიერი უგრამატიკობაც თვალში ეჩხირება კაცსა და უაზრობაცა. ზედშესრული სახელობით ბრუნვად არის ნახმარი, სახელი არსებითი მიცემით ბრუნვად. როგორი შეთანხმებაა? უნდა ყოფილიყო: მიცემით ბრუნვაში. «ჩაითვალოს აღნიშნულად მრავლობითი რიცხვში». ამას ახპეტელოვიც არ იტყოდა. ოთხს სიტყვაში სამი შეცდომაა. უნდა ყოფილიყოს ჩაითვალოს აღმნიშვნელად მრავლობითის რიცხვისა. „ისეთივე მრავლობითში იქმნებიან აღნიშნულნი, როგორც“. იქაც ხუთს სიტყვაში ოთხი შეცდომაა. მიცემითს ბრუნვასთან აკოწიწებს სახელობითს ბრუნვასა. უნდა ეთქვა: ასეთსავე მრავლობითში. მაგრამ ვერც ეს კანონიერი შეთანხმება უშველიდა ჩვენს გრამატიკოსს, რადგანაც ამ შემთხვევაშიაც უაზრობას ვერ მოიშორებდა თავიდგანა. ფრაზა უნდა მთლად გადაკეთდეს, რათა კანონიერი და აზრიანი სახე მიიღოს: ჩვენი, თქვენი ისეთისავე მრავლობითი*) რიცხვის აღნიშვნულნი არიან, როგორისაც სიტყვები: ჩემი, თქვენი.

ეს განხილული ტირადა მხოლოდ მაშინ გაქართულდება და გაგონიერდება, როდესაც ამ ნაირად შეიცვლება: ჩვენ სრულიად მოშორებულნი ვართ წადილსა — დავწამოთ ბ-ნს ხახანაშვილს უცოდინარობა: დარწმუნებული ვარ, რომ არც ერთს რუსს მასწავლებელს ფიქრადაც არ მოუვა ჩასთვალოს სიტყვები: нашъ, вашъ (ჩვენი, თქვენი) მრავლობით რიცხვად. დიაღ, სიტყვები: ჩვენ, თქვენ აღნიშნავენ მრავლობითსა რიცხვსა, ხოლო ჩვენი, თქვენი ისეთისავე მხოლოობითი რიცხვის აღმნიშვნელნი არიან, როგორისაც სიტყვები: ჩემი, შენი..

ნიმუში მეორე: იხმარება სრულ ელემენტად „თანა“ ნათესაობითის ბრუნვით და შემოკლებულ ელემენტად „თან“ მიცემითის ბრუნვით“. გამოდის, რომ თანდებული „თანა“ ბრუნვით იხმარება. მეცნიერი უაზრობაა. თანდებულის დაბრუნება ვის გაუგონია. თანდებული იხმარება არა ბრუნვით, არამედ ბრუნვასთანა. ამიტომაცა ჰქვიან თანა-დებული. გარდა ამისა, ზედშესრულნი „მიცემითის“, „ნათესაობითის“ ნახმარნი არიან ნათესაობით ბრუნვად, ხოლო სახელი არსებითი „ბრუნვით“ აღნიშნავს მოქმედებითს ბრუნვასა: გამოდის ეტიმოლოგიური დომხალი. უნდა დაეწერა: მიცემითი ბრუნვით, ნათესაობითი ბრუნვით. მაგრამ ასეც რომ დაებოლოვებინა სიტყვები, მაინც აზრის სიბრუნდეს ვერ გაასწორებდა, რადგანაც აქ საჭიროა მიცემითის ბრუნვის ხმარება ორსავე ადგილსა, და არა მოქმედებითის ბრუნვისა, ამ სახით: ეს თანდებული იხმარება სრულ ელემენტად „თანა“ ნათესაობითს ბრუნვასთანა და შემოკლებულ ელემენტად მიცემითს ბრუნვასთანა.

ნიმუში მესამე: „პირველ რიგ მაგალითებიდგან გაიგებთ, რომ თანდებული „თანა“ ახლაც იხმარება ნათესაობითის ბრუნვით (კიდევ ბრუნვების დომხალი) და არა მარტო მიცემითის ბრუნვით. აქ წინანდელს ცოდლებსაც სჩადის და ახალსაც უმატებს. პირველი ორი სიტყვა ნათესაობითის ბრუნვის სახით უნდა ეხმარა უთუოდ, მიუცილებლად, ამ გვარად: პირველის რიგის მაგალითებიდგან. ჩვენს გრამატიკოსს-კი მათთვის მიუცია შემოკლებული დაბოლოება მიცემითის ბრუნვისა. სადაც ნათესაობითი ბრუნვაა საჭირო, იქ არა ხმარობს, მიცემითს ბრუნვაზედ სცვლის, ხოლო საცა მას ადგილი არ უნდა ჰქონდეს, იქა სჩხირავს და უტოლებს მოქმედებითსა ბრუნვასა.

ნიმუში მეოთხე: „ახლა თუ მოინდომოთ დატოვება თანდებულისა“ თანა „უცვლელად ბ-ნს ხახ — შვილის მაგალითებში, მაშინ სიტყვების პირველი ნაწილი იცვლება ასე“. ამ ქართულის წინადადების ნაწილები ერთმანეთზედ მწყრალად არიან: ერთი აქეთ იცქირება, მეორე იქით. გარდა ამისა გამოდის უცვლელი ცვლილება, უზეთო ზეთი. თუ ამ წინადადების პირველი ნაწილი ხელუხლებლად დავსტოვეთ, მეორე ნაწილი უნდა გადაკეთდეს ასე: „მაშინ სიტყვების პირველი ნაწილი უნდა შეიცვალოს ასე“. თუ მეორე ნაწილს დავარჩენთ იმავე მდგომარეობაში, პირველს ნაწილს უნდა მივსცეთ ამისთანა სახე: თუ თანდებული თანა შეუმოკლებლად დარჩება ბ ნს ხახანაშვილის მაგალითებში, მაშინ», და სხვანი. ამ მახინჯს წინადადებას ზედვე მისდევენ შემდეგი უკანონო ფრაზები: „თხოულობდნენ მიცემითი ბრუნვასა; ძნელი გამოსაცნობია, თუ რა ბრუნვაში არიან ნახმარი. აქ ხალასი რუსიციზმი: (въ какомъ падежѣ употреблены), ნაცვლად რა ბრუნვით. „შეადგენს უმთავრესს თვისებასა“. აკი მეორეჯერ „ს“ არას გზით არ გამოითქმის და არც იხმარებაო.

ნიმუში მეხუთე: „ვერა ფორმას ვერ მოსძებნით, რომ არ იყვეს რომელიმე ადგილს მოთავსებული ამ სამს საქმეში». გრამატიკოსს არას დროს არ მიეტევება ერთმანეთში არევა ზმნებისა: იყოს და იყვეს. იყვეს, იყვეს და ვერ გაიყვეს; ნუ წავა იგი, ან იყოს. „რომელიმე ადგილს“ გრამატიკის შელახვაა, უნდა მიუცილებლად ეთქვა: რომელსამე ადგილას. უაზრობაც სუფევს აქა. მოთავსებულ ფორმებს ვერ მოსძებნითო. ოღონდაც. რომელი სადი ჭკუის პატრონი დაუწყებს ძებნას იმას, რაც ხელში უჭირავს. უნდა ეთქვა: მოსათავსებელი. სამართალი მოითხოვს დაუმატოთ, რომ ეს ადგილი ამოვიღეთ მოკამათის კვლევიდგან, რომელიც დაბეჭდილია სხვაგან და არა „კვალში“.

ნიმუში მეექვსე: ზმნების კვლევის დროს ჩვენს გრამატიკოსს აღმოუჩენია საოცარი ფორმები: კვება — აკვებე, ქნევა — აქანე, იქანე, ნაცვლად აქნიე, იქნიე, აგმე, ვიკეთები, იკეთები, იკეთება, მეკეთები, გავიკეთები, გაიკეთები, გამეკეთები, ვიკეთებოდე, იკეთებოდე, იკეთებოდეს, მეკეთებოდე, გამეკეთებოდე, ვკეთებოდი, გავეკეთებოდი, შეკეთე, გეკეთე, გამეკეთე, მეკეთო, გეკეთო, გამეკეთო და სხვანი.

ეს ფორმები ნამდვილს ამერიკას შეადგენენ და კოლუმბის გვირგვინი სწორედ ერგება ჩვენს გრამატიკოსსა. არც ძველს მწერლობაში, არც

---

*) როდესაც რამდენიმე განმარტებითი სიტყვა წინ უძღვის განსამარტებელსა, ბრუნვის დაბოლოება საჭიროა მხოლოდ პირველი განმარტველისათვის.

რომ ყველა ეკკლესიაში გაისმის გულწრფელი ლოცვა-ვედრება იმის განკურნებისათვის, მაგრამ მე ნება მაქვს ვილაპარაკო თვით იმპერატორის შესახებ იმ მხრივ, რა სახითაც იგი ეჩვენება უცხო სახელმწიფოთ. მაშასადამე, ნება მაქვს გამოვაცხადო, რომ იმისს მოქმედებას აღნიშნავდა იმისივე სიტყვები: „ჭეშმარიტება და მშვიდობიანობა“. ეს იმპერატორი, რასაკვირველია, არც ცეზარი იყო და არც ნაპოლეონი, მაგრამ თუ მართალია ის, რომ მშვიდობიანობასაც, ომზედ არა ნაკლებ, შეუძლიან თავი იამაყოს და მოიწონოს, რომ დიდებულნი საქმენი შევქმენიო, მაშინ, ეჭვი არ უნდა, რუსეთის იმპერატორი ისტორიაში ისეთსავე დიდებას მოიხვეჭავს, როგორიც წილად ხვდათ ცეზარსა და ნაპოლეონსა. ალექსანდრე მესამეს ის დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ დიპლომატიაში თუ სულ მთლად ვერ აღადგინა სიმართლე, გვაგრძნობინა მაინც მისდამი პატივისცემა“.

შემდეგ როზბერი შეეხო აღმოსავლეთის საქმეებსა, და უკანასკნელ მინისტრთა ბჭობის გამო გამოწვეულ ხმებს. „სამინისტროსაო, სთქვა იმან, არ შეუძლიან პასუხის-მგებლობა იკისროს იმ დაუჯერებელ ხმების შესახებ, რომელიც გაავრცელეს, ბრალი იმათ მიუძღვით ვინც ამ ბჭობის მიზეზსა და გარემოებას ათას კუდს აბამენ. მთავარ-მინისტრის სიტყვით, სრულიად დაუჯერებელია, ვითომ მინისტრებმა სჯა იქონიეს და განიხილეს ჩინელებისა და იაპონელების ომში ჩარევის საქმეო და ვითომც ამის შესახებ კიდეც გაუგზავნეს სხვა სახელმწიფოებს რაღაც მიწერილობა და იმათ უარი შემოუთვალესო. ამ მითქმა-მოთქმას შემდეგმა გარემოებამ შეუწყო ხელიო, იაპონელების პირველ გამარჯვების შემდეგ ინგლისის მთავრობას აცნობეს, რომ ჩინელებს იაპონიასთან მორიგება უნდაო და ჩინეთი მშვიდობიანობისათვის ისეთს პირობას უდებს, რომელიც იაპონელების სურვილს გაცილებით სჭარბობსო. სამინისტრომ მოვალედ ჩასთვალა თავისი თავი ესარგებლნა ამ გვარის ამბით და განიზრახა ორ მებრძოლთა შორის მშვიდობიანობა ჩამოეგდო, ამიტომ ჩინელების პირობა სხვა სახელმწიფოებსაც აცნობა და იმათ რიცხვში შეერთებულ შტატებსაც. სახელმწიფოთა უმრავლესობამ მოისურვა ინგლისს შეერთებოდა, მხოლოდ ერთმა თუ ორმა სახელმწიფომ გამოაცხადა, რომ ჩვენის აზრით, ჯერ არ დამდგარა ის დრო, რომ მებრძოლ მხარეებს მშვიდობიანობის დასაცველად პირობები წარუდგინოთო. რადგანაც ყველა სახელმწიფომ არ გამოაცხადა თავისი თანხმობა, ამიტომ ინგლისი იძულებული იყო თავი დაენებებინა მომრიგებელის როლისათვის, მით უმეტეს, რომ უცხო ქვეყნების ჟურნალ-გაზეთობის უმრავლესობამ ეჭვი შეიტანა, ძნელად თუ ინგლისი გულ-წრფელად ჰმოქმედობდეს ამ საქმეშიო.

უფრო უსაფუძვლოა, როზბერის სიტყვით, ის ხმები, ვითომ მინისტრთა საბჭოზედ მადაგასკარის შესახებაც ალეძრათ ლაპარაკი. ეს საკითხავი ინგლისისა და საფრანგეთის დიპლომატიის შორის ამ უკანასკნელს წლებში არ აღუძრავს და, რასაკვირველია, არც არავითარი ლაპარაკი იქმნებოდა იმის შესახებ, რომ ვითომ შესაძლებელია ამ მადაგასკარის გამო ხსენებულ სახელმწიფოთა შორის უთანხმოება ჩამოვარდესო.

—

**გერმანია.** ამასწინად ტელეგრაფმა მოიტანა ერთი მოკლე და დიდად საყურადღებო ამბავი. ეს ამბავი ის იყო, რომ გერმანიის კანცლერმა კაპრივიმ სამსახურს თავი დაანებაო. რაღა თქმა უნდა, რომ მთელი ევროპის ჟურნალ-გაზეთები გულ მოდგინებით შეუდგნენ იმის გამოკვლევას, თუ რა მიზეზებმა აიძულა კაპრივი სამსახურისთვის თავი დაენებებინა და ან რა შედეგი უნდა მოჰყვეს გერმანიის პოლიტიკაში ამ გარემოებასაო. ინტერესი ჟურნალ-გაზეთებისა მით უფრო განსხვავებული იყო, რომ კაპრივიმ სწორედ მაშინ დაანება თავი სამსახურს, როდესაც ერთხელ კიდევ გაიმარჯვა მოწინაღმდეგებზედ და ისე გაიმარჯვა რომ თვით იმპერატორიც-კი იმის მხარეს იყო, მაშინ როდესაც მოწინაღმდეგეთ მინისტრ-პრეზიდენტი და საზოგადოდ ბისმარკის თანამგრძნობელნი ჰყავდა. ეს უკანასკნელნი ერთხელ კიდევ იმასა ნდომულობენ, რომ მთავრობას განსაკუთრებული კანონები შემოეღო, რათა უფრო ადვილად დაეგმოთ იმათთვის არა სასურველნი აზრნი და მოქმედებანი ლიბერალების სხვა-და-სხვა დასისა. ამ აზრის გამომხატველი გერმანიის უკანასკნელ სამინისტროში იყო თვით მინისტრ-პრეზიდენტი გრაფი ეილენბურგი. აი ამას გაუმკლავდა კაპრივი და იმ დროს, როდესაც გამარჯვება თითქმის ხელთ იგდო, თითონვე დამარცხდა. ამის მიზეზი ის იყო, რომ კაპრივიმ, როგორც ჰმოწმობენ გერმანიის გაზეთები, ცოტა გადააჭარბა იარაღის ხმარებას. საქმე ის არის, რომ ეილენბურგი იმპერატორის საყვარელი და დაახლოვებული კაცი არის. ამას არ მიხედეს ოფიციოზურ გაზეთებმა და დაუწყეს სასტიკი დევნა. იმპერატორს არ მოსწონდა თურმე კაპრივის ხელ-ქვეითი გაზეთების ამნაირი საქციელი და თავისი უსიამოვნობა იმ გვარად გამოუცხადა კანცლერს, რომ იმას სხვა აღარა დარჩენოდა-რა და იძულებულ შეიქმნა სამსახურისთვის თავი დაენებებინა.

ამ გვარად განმარტებენ ამ ამბავს გაზეთები. იქმნება მართალიც არის, რომ საქმე სწორედ ესე მომხდარიყოს, მეტადრე თუ გავიხსენებთ იმ გარემოებას, რომ ახლად დანიშნული კანცლერის, პრინცის ჰოჰენლოეს მიმართულება დიდად არაფრით განსხვავდება კაპრივის მიმართულებისაგან. ეხლა გერმანიის გაზეთები შეუდგნენ ჰოჰენლოეს ვინაობის გამორკვევას და ლიბერალად უფრო სთვლიან, ვიდრე კონსერვატორად.

ამიერიდგან კანცლერის თანამდებობაცა და მინისტრ-პრეზიდენტისაც იმპერატორმა 75 წლის მოხუცს პრინცს ჰოჰენლოეს მიანდო. ხოლო თუ მართალნი იყვნენ ის გაზეთები, რომელნიც კაპრივის სამსახურიდან გამოსვლას კერძო უკმაყოფილებას აწერენ, მაშინ, რასაკვირველია, გერმანიის გარეშე და შინა პოლიტიკაში დიდი ცვლილება არა მოხდებარა.

## ასის წლის შესრულება სომხების ჟურნალ-გაზეთობის დაარსებიდგან.

16 ოქტომბერს შესრულდა ასი წელიწადი მას შემდეგ, რაც პირველად სომხურს ენაზედ ჟურნალი დაიბეჭდა. პირველი ჟურნალი ქ. მადრასში (ინდოეთში) გამოვიდა „აზდარარის“ სახელ-წოდებით და რედაქტორად იყო იქაური დეკანოზი არუთინ შირაზელი, რომელიც განათლებული და რამდენისამე უცხო ქვეყნის ენის მცოდნე კაცი იყო. „აზდარარში“, სხვათა შორის, პეტერბურგიდგანაც იბეჭდებოდა ვრცელი კორესპონდენციები, რომელსაც პეტერბურგის სომხების მთავარ ეპისკოპოსი არღუთინსკი სწერდა თურმე.

ეს კორესპონდენციები შეეხებოდა რუსეთ-ოსმალოს ომს (1791 წ.), კავკასიისა და სომხების ყოფა-მდგომარეობას, მდ. დონზედ ქალაქ ნახიჩევანის და გრიგორიოპოლის დაარსებასა და სხვას.

„აზდარარის“ შემდეგ ახალი სომხური ჟურნალები ქ. კალკუტასა და ბომბეიში გამოდიოდა, რომლის რიცხვმა შემდეგში ცხრამდის იმატა. სომხურ ჟურნალის შორეულ აღმოსავლეთში, ინდოეთს, დაარსება იმითი აიხსნება, რომ მეთვრამეტე საუკუნის ნახევარში ინდოეთის სომხები ნივთიერად ძალიან შეძლებულნი იყვნენ, რადგანაც მთელის აღმოსავლეთის ვაჭრობა ხელში ჰქონდათ ჩაგდებული. ამათ სხვათა შორის მიჰმართეს ეკატერინე მეორეს და სთხოვეს, რომ სომეხნი ოსმალების ქვეშევრდომობისაგან განეთავისუფლებინა და რუსეთის უზენაესს მფარველობით სომეხთა სამეფო დაეარსებინა. ამ საქმის გამო ორი მდიდარს სომეხს განზრახვა ჰქონდათ თავისი მილიონები რუსეთის მთავრობისათვის შეეწირათ.

ამ ასის წლის განმავლობაში სომხურმა ჟურნალ-გაზეთობამ ბევრ ნაირად იცვალა ფერი და დღეს სომხებს 21 ჟურნალ-გაზეთი აქვთ, რომელთა შორის 12 ოსმალეთში იბეჭდება, 10 რუსეთში, 3 საბერძნეთში და თითო-თითო იტალიასა, ავსტრიასა, საფრანგეთსა, ამერიკასა, სპარსეთსა და შვეიცარიაში. სომხურ ჟურნალ გაზეთობის დაარსების ასის წლის შესრულების სახსოვრად

---

ახალში, არც სასაუბრო ენაში მათი ჭაჭანება არ არის და არც იქნება, მათი სიმახინჯის და უაზრობის გამო. ხმარება გაღიაროსი, რომელიც მიღებულია საქართველოს ორს წილში, მას დამახინჯებად მიჩნია, ხოლო ამისთანა ყოვლად უმგზავსის ფორმების შემოღება-კი სთვლის საჭიროდ ქართულის ენის ღირსების გასაძლიერებლად. სასაცილო იქნებოდა, სამტირალო რომ არ იყოს.

„კვალის“ თანამშრომელთა შორის მხოლოდ ერთი მწერალი მოიძებნება, რომელიც ბ-ნ დოდაშვილზედ უარესი ენითა სწერს. ეს გახლავთ ბ-ნი გიორგი წერეთელი. მოვყავს რამდენიმე ნიმუში ამ ვაჟბატონის იკლიკანტურის მეტყველებისა.

„ამითი მაინც მოგეცით მიზეზი ჩემი შეცდომები აღგედგინათ (შეცდომებს განა აღდგენა უნდათ და არა გამტყუნება?) და კიდევ უფრო დიდი ნათელი მოგეფინათ ჩვენს (?) ისტორიის წყვდიადზედ (გამოდის ჩვენი წყვდიადი ისტორიისა, რომლისა?) თუ სხვა სარგებლობა არა მომიტანია-რა, თქვენი გენიოსური სტილი, მოსაზრება და კვლევა მაინც გამომიწვევია თქვენგნით (თქვენი სტილი თქვენგნით გამომიწვევია—ზეთიანი ზეთი გამომიხდია).

„როგორც მოგეხსენებათ ქუთაისის ქალაქში (ქუთაისის სოფელი როქელილაა?) უნდა აშენდეს სასულიერო სემინარიისათვის სახლი, რომლის ასაშენებლად (აშენდეს ასაშენებლად?) ჯერ ჯერობით ადგილი არ არის გადაწყვეტილი (ადგილი ამოირჩევა და არა გადაწყდება). მაგრამ ყოვლადსამღვდელო გაბრიელი და უმრავლესობა სამღვდელოებისა კი გადაწყვეტით (აკი გადაწყვეტილი არ არისო?) ამბობს (ეპისკოპოზი და სამღვდელოება ამბობს? დამიხედეთ რედაქტორის ეტიმოლოგიას) ბაგრატის ტაძრის გვერდით ძველი ციხის დანგრევას (დანგრევას ამბობს?).

„ბ-ნი ჟორდანია არ უნდა ყოფილიყო კარგად გაცნობილი გელათის მონასტერთან (ვინ უნდა გაეცნო ამ მონასტერთან? აი რუსიციზმს რა მოსდევს). ასეთი თვისება მისი (უნდა ყოფილიყო: თავისი) ნათელად ცხადათ (დაგიმშვენდა ენა!) დაამტკიცა იმან (თვისებას იჩენენ და არა ამტკიცებენ) ჩემთან ბრძოლაში გელათის მონსტრის შესახებ, როცა დაიჟინა, რომ ჩრდილოეთის კედელზედ დახატული ბაგრატ III, მეთექვსმეტე საუკუნის იმერეთის მეფე გ. წერეთელმა ბაგრატ III-ედ მეათე საუკუნისა და მეთერთმეტე საუკუნის დამდეგს (ორი საუკუნის დამდეგს მეფედ ყოფნა? პირჯვარი დაიწერეთ) ყოფილ მეფედ მოგვაჩვენაო. მე არც ერთი, არც მეორე ერთი მეორის მაგივრად არ მიჩვენებია და ორივე ამ მეფეების (ორივე მეფეების? ყოჩაღ, რედაქტორო!) ვუჩვენე (ოთხჯერ ერთი და იგივე ზმნა ერთს რთულს წინადადებაში. ლექსიკონის სიმდიდრეც ამასა ჰქვიან) გელათის ფრესკაში.

თუ ამისთანა მეტყველებას ენა ჰქვიან, მაშ ჟარგონი რაღას დავარქვათ. განა სამტირალო არ არის, რომ ამ ჟარგონის პატრონი თამამად კისრულობდეს ხელმძღვანელობას და რეფორმატორობას ქართულს ენაში?

საზოგადოდ, ბ-ნი დოდაშვილი და გ. წერეთელი მოგვაგონებენ მქადაგებელსა, რომელიც კათედრაზედ შემდგარა, სჭექს და ქუხს ლოთობის წინააღმდეგ და იმავე დროს თავისი გვერდით მდგომარე გრაფინკიდგან ხშირად ისხამს სტაქანში ცხარე ოტკასა, ვითომ წყალსა და წამდაუწუმ ყლურჭავს. დამკუდავებელნი დამამახინჯებელნი და მწვალებლები ქართულის ენისა, ეს ვაჟბატონები კადნიერად უკიჟინებენ სხვებს ქართულის ენის ნაკლულევანებას იმ იმედით, რომ ეგება უმეცარმა მკითხველებმა მაინც დაუჯერონ და ჩასთვალონ იგინი მცოდნეებად ქართულის ენისა, რომლის წინაშე მათ მიუძღვით სხვებზედ მეტი ცოდო და რომელიც ყველაზედ უწინ მათ დასვამდა ბრალდებულთა სკამზედ, საჩივარი რომ შესძლებოდა.

იაკობ სიმონიძე

P. S. ბ-ნმა გიორგი წერეთელმა, სხვათა ღირსებათა შორის, ოთოთაანთ ქორის სიყოჩაღეც გამოიჩინა. გარეულებზედ ნადირობამ რომ ცხვირიდგან ძმარი ადინა, შინაურზედ მოინდომა ჯავრის ამოყრა და დაეტაკა „კვალის“ ნამდვილს ნიკოდიმოსს—ბ-ნს გიორგიძეს (ფსევდონიმია). ამ უკანასკნელმა დაბეჭდა ივერიაში პატარა შენიშვნა ერთს ჩვენს საკამათო ფორმაზედ და მოიყვანა ძველი წიგნებიდგან ადგილი, სადაც ნახმარი არის ვალიაროცა და ალვიაროცა. გიორგი მოძღვარი უმტკიცებს თავისს ნიკოდიმოსს, რომ ეგ ადგილი დამახინჯებულია, სწორე დედანში სუფევს მარტო ალვიაროო“. ვინ არის მათში მტყუანი და ვინ მართალი, ეს კინკლაობა გულწრფელად არის გამართული, თუ ყასიდად, არ ვიცი და არც მსურს ვიცოდე. ყველაზედ საოცარი ის არის, რომ ბ. წერეთელი გიორგიძესთან შებმის შემდეგ იკვეხის: დავამარცხე თუ არა საწყალი სიმონიძეო. როგორ? საიდგან?.. თქვენ, ძველის წიგნების ბრმა თაყვანისმცემლებმა რომ კინკლაობა გამართოთ, მე რა? საიდგან სადაო, წმინდა საბაო? განა მე ძველს წიგნებზედ ვამყარებდი ვალიაროს—„გალიაროს“ სიმართლესა? სრულიადაც არა. მთლად, უვაჭროდ, დავუთმე ჩემს მოწინააღმდეგეთ ძველი მწიგნობრობა, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ თუ სვინიდისიანი მოღვაწე გულმოდგენით გადაიკითხავს ძველს წიგნებსა, მეტადრე საეროსა, უეჭველად შეხვდება იმ ფორმასაც, რომელსაც ჩვენ ვესარჩლებით. ამ ფორმის გასამართლებლად ჩვენ სრულიად საკმარისად მიგვაჩნია ხალხის მიერ მისი ხმარება და საგრამატიკო საბუთები. ამ ორს ბურჯზედ არის იგი შეურყეველად დამყარებული. თვით ის გარემოება, რომ ძველის წიგნის ახალმა გადამწერელმა უწინდელი ფორმა “ალვიარო„ შესცვალა ახალს-ფორმაზედ „ვალიარო„ ემოწმება მას, რომ საზოგადოებაში ეს უკანასკნელი ფორმა მიღებული ყოფილა, როგორც უფრო ადვილი და კანონიერი. ამ სახით, ხსენებულმა კინკლაობამ ერთი საბუთი-კიდევ შემძლენა ჩვენს აზრსა, ხოლო მოწინააღმდეგე დაამგზავსა წყალ-წაღებულსა, რომელიც ხავსს ეჭიდებოდა.

ბ-ნი გიორგი წერეთელი იხსენიებს დაუვიწყარის დიმიტრი ყიფიანის სახელსა იმ აზრით, ვითომც იგი ყოფილიყოს წინაღმდეგი ჩემის სახელმძღვანელოებისა. დიდს მადლობას ვუძღვნი ბატონს გიორგის ამ ინსინუაციისათვის. მე იგი მაძლევს ამითი მშვენიერს შემთხვევას დავამტკიცო უტყუარის ფაქტებით, რომ ეს უსახელოვანესი ქართველი, მიუხედავად იმისა, რომ მე არ ვეთანხმებოდი მას ზოგიერთა საგრამატიკო მოსაზრებაში (იგი, მაგალითად, აღიარებდა მხოლოდ ოთხს ბრუნვასა, მე კი ვამტკიცებდი, რომ შვიდი ბრუნვაა მეთქი და ეს უკანასკნელი რიცხვი ბრუნვათა ახლა ყველასაგან მიღებულია) დიდად აფასებდა ჩემს სახელმძღვანელოებსა და ერთს მათგანზედ დასტოვა შემდეგი წერილობითი მსჯელობაც კი, თავისი ხელით დაწერილი: „ეს წიგნი ძალიან გამოსადეგია, ძალიან სასარგებლოა და საუცხოვოდ არის შედგენილი“.

იაკობ სიმონიძე

ომხის ნასწავლმა მხითარისტებმა გამოსცეს ცალკე წიგნად „ისტორია სომხურს ჟურნალ-გაზეთობისა" რომელშიაც ჩართულია სურათი რედაქტორებისა.

## გამოსადეგი ცნობა

მტრედის მისაჩვევი საშუალება. ზოგჯერ მტრედი ვერ მიეჩვევა იმ ადგილს, სადაც ბინა აქვს გაჩენილი. რისაგან არის ეს, ნამდვილად არავინ იცის, მაგრამ მოხდება-კი ხოლმე ასეთი ამბავი. მრავალი საშუალებაა ამის ასაცილებლად, მაგრამ გერმანულის სიტყვით საუკეთესო საშუალება მარილია. მარილი უნდა მოაყაროთ სამტრედეს მირს, თუ გინდათ რომ მტრედი მიეჩვიოს თავისს ბინას, ანუ აიღეთ ვიკიის ფქვილი, თუნდ ჯანავის თესლი და ან თიხა; ამათში ერთ-ერთი გახსენით მარილიანს წყალში, ასე რომ ფაფასავით გახდეს, რომლიდგანაც მერე პატარა პურები გააკეთეთ, გაახმეთ და სამტრედეში შეაწყეთ.

## წერილი რედაქციის მიმართ

სიამოვნებით ვუერთდები ბ-ნ მ. გვარამაძის აზრს ქუთაისის თეატრის სახლის დაარსების შესახებ. ამ საგნისათვის გგზავნი სამ მანეთს და უმორჩილესად გთხოვთ გადასცეთ ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას.

პეტრე ყიფიანი

## დეპეშა

24 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** 21 ოქტომბერს უავგუსტოესის სასძლოს მირონცხების დღეს წმ. საიდუმლო მიიღეს ხელმწიფე იმპერატორმა და ხელმწიფე იმპერატრიცამ.

სამაგიეროდ დეპეშა ხელმწიფე იმპერატორისა სასჯულო საქმეთა მინისტრის მოხსენების შესახებ, რომელშიც გამოთქმული იყო სენატის უქვეშევრდომლესი გრძნობა: „დარწმუნებული ვარ იმ ერთგულების გრძნობაზედ, რომელიც თქვენ გამოიცხადეთ მე უმართებულესი სენატის სახელობით, არ ვეჭვობ, რომ სენატი დაეხმარება ძვირფასის სამშობლოს სასამსახუროდ, რომელიც ნაანდერძევი მაქვს დაუვიწყარის მშობლისა ჩემისაგან".

სამაგიერო დეპეშა ხელმწიფე იმპერატორისა პეტერბურგის მიტროპოლიტს: „გულითად მადლობას ვუხდი უწმ. სინოდის წევრთა გამოთქმულის ჩემდამო გრძნობისა და თანაგრძნობისათვის დიდის ჩემთვის მწუხარების დროს. გამსჭვალული ცხოველის სიყვარულით განსვენებულისა მშობელისა ჩემისა მიმართ, მე, მსგავსად მისა მოვანდომებ მთელს ჩემს ღონეს, რათა ვემსახურო ძვირფასს სამშობლოს და მართლ-მადიდებელ ეკკლესიას".

**ლივადია.** გუშინ მოვიდნენ მოსკოვიდან და ხარკოვიდან ექიმები სპეციალისტები, რომ გვამი გადაცვალებულის იმპერატორისა შემურონ.

პეტერბურგის ბირჟა, 18 ოქტომბ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7,48 | 7,48 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები | 148¾ | 149¾ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — ,, | — ,, | 237½ |
| —მეორისა | — ,, | — ,, | 217 |
| 4% მესამე სესხისა | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი | — ,, | — ,, | 190⅜ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6% | — ,, | — ,, | 101½ |
| 5% | — ,, | — ,, | 100 |
| ქუთაისის ბანკის 6% | — ,, | — ,, | 101½ |
| 5% | — ,, | — ,, | 100 |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | 96½ | — ,, |


## განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება
ყველა წიგნის მაღაზიაში
**ოსანა მკითხავი**
მოთხრობა
თავ. იასონ ციციშვილისა
ფასი 15 კაპ.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

**ყ. მ. ჩიქოვანი,** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

**დ. გ. რუდკოვსკი,** 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

**ი. ფ. პროტასევიჩი,**—11½—12½ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი.** 12½—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

**ა. ზ. კარაპეტიანცი,** 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ა. გურკო,** 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 7—7½ საათამდის.

**გ. ი. ფრანცუსი,** 7—7½ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.**

(857—1467)

კბილის ექიმი
**ვ. ი. ჭიჭინაძე**
(მიხეილის ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79)

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9 საათიდგან, ნაშუადღევის 2 საათამდის და საღამოს 4—6 საათამდის.

რთულის ოპერაციის დროს დაესწრება ექიმი ი. ს. ელიაშვილი.

(50—6.—18)

„წერა-კითხვის საზოგადოების"
**წიგნის მაღაზიაში**
ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა | „ | 50 |
| ვისრამიანი | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 40 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა | „ | 15 |
| ქილილა და დამანა | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| ხატაური ან. თუმანიშვილისა | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა | „ | 40 |
| შინაური საქონელი და იმისი მოვლა-მოშენება ი. როსტომაშვილისა | „ | 5 |
| ვიქტორ-ჰიუგოს რომანიდამ „ოთხმოც-და-ცამეტი წელი" დ. ყიფიანისა | „ | 20 |
| ლექსები ვახტ. ორბელიანისა | „ | 20 |

**ცხოვრება**
დიდისა მოწამისა პანტელეიმონისა
თარგმნილი
მ. შარაძის მიერ, გამოცემა ი. ჩიჩუასი
**ფასი ერთი შაური**
ისყიდება ტფილისის ქუთაისისა და ოზურგეთის წიგნის მაღაზიებში და შარაძისა და ამხან. სტამბაში.

ისყიდება ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში.

ქუთაისში: ი. ხეთერელისა და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

ბათუმში ბ. კალანდაძესთან.

განჯაში დ. ქელივიძესთან.

ახალ-სენაკსა და ოზურგეთში კ. თავართქილაძესთან.

**ქრისტინე**
მოთხრობა
**ე. ნინოშვილისა**
გამოცემული
პ. გოგუაძისა და დ. ქელივიძის მიერ
**ფასი ერთი აბაზი**

**ცხოვრება**
შვიდთა ყრმათა ეფესელთა
გამოცემა მ. შარაძისა და ამხ. სტამბისა
ფასი ერთი შაური
ისყიდება:
წერა-კითხვის გამავრცელებელისა, ქართველთა ამხანაგობისა, გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში და გამომცემელთავე სტამბაში.
ოზურგეთს. კ. თავართქილაძესთან.
სამტრედიაში. პ. გელეიშვილთან.
ქუთაისში. წერეთლისა და ბეჟანიშვილის მაღაზიებში.
თელავში. ი. იმერლიშვილთან.

**ვ. ა. აბაშიძის გამოცემა**
გამოვიდა და ისყიდება
**პანთეონი**
ქართულის თეატრისა
**წიგნი I**
შინაარსი:
იქვიანი—ვოდევილი 1 მოქმედ.
ბნელს ოთახში—ვოდ. 1 მოქმ.
ახირებულია—ვოდ. 1 მოქმ.
**ფასი 30 კაპ.**
(10—მ—10)


# ნიხრი

რომელიც უნდა გადაუხადონ ამა 1894 წელს ტფილისის გუბერნიაში ფულით მინდვრებისა ველებისა და კორდების პატრონებს, თუ იმათი მამული სხვის პირუტყვმა (საქონელმა და ფრინველმა) წაახდინა.

სახელდობრ რა მამულზედ იქმნა დაჭერილი პირუტყვი.

მიწები, რომელიც დათესილია: ხორბლით, ქვავით, შვრიით, ქერით, ფეტვით, უგრეხელით, სიმინდით, ასლით და სხვ. — მაზრა. (m. = მანეთი, k. = კაპეიკი)

| რა პირუტყვია დაჭერილი. | ტფილისისა. | გორისა. | ახალციხისა. | დუშეთისა. | თიანეთისა. | თელავისა. | სიღნაღისა. | ბორჩალოსი. | ახალქალაქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მ. კ. | მ. კ. | მ. კ. | მ. კ. | მ. კ. | მ. კ. | მ. კ. | მ. კ. | მ. კ. |
| ცხენი | 3 — | 1 20 | 1 — | 2 — | 1 — | 1 — | — 55 | 2 — | 2 — |
| კამბეჩი და აქლემი | 4 — | 1 40 | 1 — | 3 — | 1 50 | 1 — | — 55 | 2 40 | 2 50 |
| ხარი | 3 — | — 85 | — 70 | 2 — | — 60 | — 65 | — 45 | 2 — | 2 — |
| ძროხა | 3 — | — 85 | — 70 | 2 — | — 60 | — 65 | — 40 | 2 — | 1 50 |
| ხბო | 1 — | — 40 | — 15 | 1 — | — 30 | — 35 | — 15 | — 90 | — 50 |
| ვირი და ჯორი | 1 60 | — 70 | — 40 | 1 50 | 1 — | — 80 | — 40 | 1 10 | 1 50 |
| ღორი | 2 — | 1 — | 1 — | 2 — | 1 — | 1 20 | — 65 | 1 90 | 1 — |
| ცხვარი | — 40 | — 25 | — 30 | — 40 | — 30 | — 30 | — 5 | — 30 | — 25 |
| თხა | — 40 | — 45 | — 30 | — 40 | — 50 | — 35 | — 15 | — 30 | — 35 |
| ბატი | — 20 | — 15 | — 7 | — 20 | — 30 | — 20 | — 5 | — 20 | — 5 |
| ინდოური | — 10 | — 10 | — 4 | — 10 | — 15 | — 15 | — 3 | — 5 | — 3 |
| ქათამი | — — | — — | — — | — — | — — | — 10 | — — | — — | — — |

მიწები, რომელიც დათესილია კარტოფილით, კომბოსტოთი, ბაკლათი, მუხუდოთი, ლობიოთი, კიტრით, საზამთროთი და სხვ. — მაზრა.

| რა პირუტყვია დაჭერილი. | ტფილისისა. | გორისა. | ახალციხისა. | დუშეთისა. | თიანეთისა. | თელავისა. | სიღნაღისა. | ბორჩალოსი. | ახალქალაქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მ. კ. | მ. კ. | მ. კ. | მ. კ. | მ. კ. | მ. კ. | მ. კ. | მ. კ. | მ. კ. |
| ცხენი | 4 — | 1 50 | 1 50 | 2 — | 1 — | 1 50 | — 80 | 2 40 | 3 — |
| კამბეჩი და აქლემი | 5 — | 1 80 | 1 60 | 3 — | 1 50 | 1 50 | — 80 | 2 50 | 3 — |
| ხარი | 4 — | 1 10 | 1 25 | 2 — | — 80 | — 85 | — 55 | 2 — | 2 70 |
| ძროხა | 4 — | 1 10 | 1 25 | 2 — | — 80 | — 85 | — 50 | 2 — | 2 60 |
| ხბო | 1 — | — 50 | — 20 | 1 — | — 40 | — 50 | — 15 | — 90 | 1 50 |
| ვირი და ჯორი | 1 — | — 85 | — 75 | 1 50 | 1 — | 1 15 | — 75 | 1 — | 2 60 |
| ღორი | 3 — | 1 40 | 1 80 | 2 — | 1 50 | 1 70 | 1 20 | 3 — | 4 — |
| ცხვარი | — 60 | — 40 | — 50 | — 40 | — 30 | — 35 | — 6 | — 25 | — 10 |
| თხა | — 60 | — 50 | — 50 | — 40 | — 80 | — 40 | — 25 | — 25 | — 15 |
| ბატი | — 40 | — 25 | — 8 | — 40 | — 10 | — 25 | — 6 | — 30 | — 20 |
| ინდოური | — 10 | — 10 | — 5 | — 10 | — 10 | — 20 | — 3 | — 6 | — 10 |
| ქათამი | — — | — — | — — | — — | — — | — 15 | — — | — — | — — |

სათიბი ადგილები. — მაზრა.

| რა პირუტყვია დაჭერილი. | ტფილისისა. | გორისა. | ახალციხისა. | დუშეთისა. | თიანეთისა. | თელავისა. | სიღნაღისა. | ბორჩალოსი | ახალქალაქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მ. კ. | მ. კ. | მ. კ. | მ. კ. | მ. კ. | მ. კ. | მ. კ. | მ. კ. | მ. კ. |
| ცხენი | 1 — | — 50 | — 50 | 1 — | — 30 | — 30 | — 35 | — 70 | 1 30 |
| კამბეჩი და აქლემი | 1 — | — 50 | — 60 | 1 — | — 40 | — 30 | — 35 | — 70 | 1 — |
| ხარი | 1 — | — 50 | — 50 | 1 — | — 20 | — 20 | — 35 | — 70 | — 30 |
| ძროხა | 1 — | — 50 | — 50 | 1 — | — 20 | — 20 | — 35 | — 70 | — 20 |
| ხბო | — 60 | — 15 | — 10 | — 50 | — 5 | — 10 | — 10 | — 50 | — 7 |
| ვირი და ჯორი | — 60 | — 40 | — 30 | — 50 | — 30 | — 25 | — 35 | — 65 | — 50 |
| ღორი | 1 — | — 50 | — 60 | 1 — | — 50 | — 40 | — 45 | — 50 | — 20 |
| ცხვარი | — 40 | — 15 | — 15 | — 30 | — 5 | — 5 | — 5 | — 25 | — 10 |
| თხა | — 40 | — 15 | — 15 | — 30 | — 5 | — 5 | — 8 | — 25 | — 15 |
| ბატი | — 5 | — 10 | — — | — 5 | — — | — — | — — | — 4 | — — |
| ინდოური | — 5 | — 5 | — — | — 5 | — — | — — | — — | — 3 | — — |
| ქათამი | — — | — — | — — | — — | — — | — — | — — | — — | — — |

საძოვარი ადგილები ზამთრისა და ზაფხულისა. — მაზრა.

| რა პირუტყვია დაჭერილი. | ტფილისისა. | გორისა. | ახალციხისა. | დუშეთისა. | თიანეთისა. | თელავისა. | სიღნაღისა. | ბორჩალოსი. | ახალქალაქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მ. კ. | მ. კ. | მ. კ. | მ. კ. | მ. კ. | მ. კ. | მ. კ. | მ. კ. | მ. კ. |
| ცხენი | — 60 | — 40 | — — | — 50 | — 10 | — 10 | — 10 | — 50 | — 30 |
| კამბეჩი და აქლემი | — 60 | — 40 | — — | — 50 | — 20 | — 10 | — 10 | — 50 | — 20 |
| ხარი | — 60 | — 40 | — — | — 50 | — 10 | — 10 | — 10 | — 50 | — 10 |
| ძროხა | — 60 | — 40 | — — | — 50 | — 10 | — 10 | — 10 | — 50 | — 8 |
| ხბო | — 40 | — 15 | — — | — 30 | — 5 | — 5 | — 5 | — 30 | — 5 |
| ვირი და ჯორი | — 60 | — 40 | — — | — 50 | — 10 | — 10 | — 10 | — 50 | — 25 |
| ღორი | — 60 | — 40 | — — | — 50 | — 20 | — 15 | — 10 | — 50 | — 8 |
| ცხვარი | — 20 | — 10 | — — | — 20 | — 5 | — 5 | — 3 | — 10 | — 5 |
| თხა | — 20 | — 15 | — — | — 20 | — 10 | — 5 | — 3 | — 10 | — 5 |
| ბატი | — 5 | — 5 | — — | — 5 | — — | — — | — — | — — | — — |
| ინდოური | — 5 | — 5 | — — | — 5 | — — | — — | — — | — — | — — |
| ქათამი | — — | — — | — — | — — | — — | — — | — — | — — | — — |

ეს ნიხრი დამტკიცებულია ტფილისის საგუბერნიო მმართველობის მიერ 31 მაისს, 1894 წ.

შენიშვნა. ეს ნიხრი სავალდებულო არ არის იმ მემამულესათვის, რომელსაც პირუტყვი ან ფრინველი წაუხდენს რაიმე მოსავალს; თუ იგი თანახმა არ არის ამ ნიხრში აღრიცხულ გარდასახადი მიიღოს, შეუძლიან თვისი ზარალი მომრიგებელ ან სასოფლო სასამართლოს დააფასებინოს და ისე გარდაახდევინოს პირუტყვის პატრონს.

Дозволено цензурою Тифлисъ, 25-го Октября 1894 г. | სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა | რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.